



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია სოხაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

ნინო ციციძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ვლადიმერ ბერუაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი;

მარინა ტარულიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი;

თინათინ ბეგიაშვილი-უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი;

მარიკა ბოცვაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ტოლია კოლასონია-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

თეა გაბისონია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

შორენა ნიკოლეიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ალექსანდრე ლაცაბიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ცირეკიძე-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	231263619

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თელავის მუნიციპალიტეტი სოფელი წინანდალი
ფაქტობრივი მისამართი	თელავის მუნიციპალიტეტი სოფელი წინანდალი
საფოსტო ინდექსი	4723
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1175
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsinandali@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577677868

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 26 აპრილის N MES 4 25 0000446972 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 29-30 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინანდალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინანდალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინანდალი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 29 და 30 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლაში. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან, თანამშრომლობით და კეთილგანწყობილ გარემოში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. სკოლამ ვიზიტამდე, ობიექტური მიზეზების გამო ვერ წარმოადგინა ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა. ასევე, განხორციელდა სკოლის მატერიალური რესურსების დათვალიერება და რესურსების ამსახველი შესაბამისი ფოტომასალა გადაეგზავნა საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, სპორტის და ტექნოლოგიების საგნობრივ ექსპერტებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.



დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და თავმჯდომარე გაესაუბრენ სკოლის დირექტორს, ბუღალტერს, ექიმს, სპეციალურ მასწავლებელს და სკოლის სხვა წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია ვიზიტის დროს გამოკვეთილი მიგნებების შესახებ.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) უზრუნველყოს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.
ინდიკატორი N 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) უზრუნველყოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ.

¹ გარდა მთელი სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი N 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.12.2025) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება.
ინდიკატორი N 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები შესრულების გაზომვად ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.12.2025) ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025) განსაზღვროს სკოლაში მოქმედი სტრუქტურულის ერთეულების/პირების ფუნქციები.
ინდიკატორი N 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025) უზრუნველყოს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის კონკურსის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი ვადის გათვალისწინებით.



	გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;	
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025) დაადგინოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.07.2026) წარმოადგინოს ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.04.2027) უზრუნველყოს ეზოს გვერდით მხრიდან ჩამოშლილი ბეტონის ფილების იმგვარად მოწყობა, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.04.2027) დაამტკიცოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.04.2027) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.04.2027) წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.



	სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური (სახელმწიფო მიერ ან მისი მონაწილეობი დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.10.2025) სკოლის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენების ექსპერტის რეკომენდაციით, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) უნდა უზრუნველყოს კურიკულუმების (ინგლისური და რუსული ენები, სადაც გაწერილია შემოქმედებითი დავალებები), იმგვარად შევსება, რომ იგი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული. კურიკულუმში წარმოდგენილმა აქტივობებმა შესაძლებელი უნდა გახადოს დადგინდეს, თუ რამდენად უზრუნველყოფს სკოლა სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკის ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) მე-2 და მე-3 კლასების საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგინოს სრულყოფილად. აღნიშნული კლასების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულმა შინაარსმა (თემა/საკითხი) სრულად უნდა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) I, II, IV, V, VI კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმები, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ ორი თემა, შემუშავდეს იმგვარად, რომ სრულიდ იქნას მიღწეული ესგ-ით გათვალისწინებული შედეგები.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) წარმოადგინოს I და II კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები, რომლებიც



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) შემუშავებულ კურიკულუმში გაითვალისწინოს დიფერენცირებული მიდგომები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში ასახოს, თუ რა ტიპის შემოქმედებითი დავალებით ახდენს პედაგოგი სწავლის შედეგების შეფასებას, რათა საფეხურის შედეგები იყოს მიღწევადი. უცხოური ენის ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) შეიმუშავოს იმგვარი კურიკულუმები, რომლებიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.



ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) სასწავლო პროცესში გაითვალისწინონ ინკლუზიური მიდგომები.
-------------------------	---	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენის ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) შეიმუშავონ იკურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) ამ შეიმუშავოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რეკომენდაციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმგვარად შეიმუშავოს, რომ საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N. 1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლის ფილოსოფიის მეტად საჯაროობის მიზნით სკოლამ მისია, ხედვა და ღირებულებები ასევე განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სასურველია, სკოლამ აქტიურად გამოიყენოს საჯარო სივრცე სოციალური ქსელის სახით და მასზე სისტემატურად განათავსოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების შესახებ.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღება.



	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სასურველია სკოლამ შესთავაზოს მათ სხვადასხვა პრევენციული ხასიათის აქტივობები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს მნიშვნელობისა და როლის მეტად გააზრებაში.
ინდიკატორი N3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში გათვალისწინებულია მუსიკისა და უცხო ენების კაბინეტები, რომელთა არსებობა ვიზიტის დროს არ დადასტურებულა. სასურველია სკოლამ ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაში მოიყვანოს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან.



ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	სასურველია სკოლამ განაახლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	საზოგადოების მეტად ინფორმირების და კომუნიკაციის მიზნით, სასურველია სკოლამ სისტემატურად განათავსოს სოციალურ ქსელში უახლესი ინფორმაცია.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
--------------	---	-------



ინდიკატორი N. 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა: კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, ყველა თემისთვის განისაზღვროს შესაბამისი ცნებები და ქვეცნებები. მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში შეიტანონ დასამუშავებლად განსაზღვრული კომპლექსური ტიპის დავალებები-იხელმძღვანელონ სხვა კლასის კურიკულუმით და სვეტები შეავსონ შესაბამისად; სასურველია, გადახედონ კურიკულუმის ჩარჩოს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრულ ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება („მე და საზოგადოება“, მე-3 და მე-4 კლასი). მათემატიკა: სასურველია სკოლამ კურიკულუმებში ასახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები. ასევე, სასურველია პედაგოგებმა სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენონ ელექტრონულ რესურსები, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში. დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმში საკითხის დასამუშავებლად საჭირო რესურსებს სახელმძღვანელოდან, ასევე დამხმარე მასალებიდან მიეთითოს შესაბამისი გვერდები. სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს ერთიანი ხედვა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით და განსაზღვროს რომელ სტრუქტურულ ერთეულებს გამოკვეთს კურიკულუმში, რათა უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევა.
----------------------------------	---	--



ინდიკატორი N. 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახელმწიფო ენა: ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენის კათედრას აქვს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტები სწავლის მიზნის მისაღწევად, გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „სტატიის დაწერა სამეგრელოს ღირსშესანიშნაობების შესახებ“ („ჩვენი საქართველო“, მე-5 კლ). მათემატიკა: სასურველია, რომ კათედრამ ესგ-ითა და საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მეტი სიხშირით გამოიყენონ შემოქმედებითი ტიპის დავალებები. მათემატიკა: სსგ-ით მათემატიკის სწავლებას მე-6 კლასში დათმობილი აქვს 4 საათი. წარმოდგენილი კურიკულუმით მე-6 კლასში კვირეული დატვირთვა არის 5 საათი. შესაბამისად, სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაში არ მოდის სსგ-ით განსაზღვრულ რაოდენობასთან. სასურველია, პედაგოგებმა კვირეულ დატვირთვას თავიდან გადახედონ, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული და საათების გადანაწილება სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ კვირეული დატვირთვიდან გამომდინარე რაოდენობასთან. ასევე, სასურველია პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაში მოიყვანონ მე-6 კლასისათვის განსაზღვრულ წლიური საათების რაოდენობასთან.
----------------------------------	--	---



ინდიკატორი N. 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: კურიკულუმში აისახოს სახელმძღვანელო, როგორც ძირითადი რესურსი და, შესაბამისად, მიეთითოს გვერდებიც („ჩვენი საქართველო“, მე-6 კლ) სახელმწიფო ენა: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მიუთითონ ძირითადი სახელმძღვანელო.
ინდიკატორი N. 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა: შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს. მათემატიკა: სასურველია მოსწავლის ისგ. დოკუმენტზე მუშაობისას დეტალურად გაიწეროს გრძელვადიანი მიზანი, შემოქმედებითი დავალების პირობა და ის პროდუქტი, რაც უნდა შეიქმნას მუშაობის პროცესში. ასევე სასურველია ისგ-ში მოცემული იყოს კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შეფასების სქემა.
ინდიკატორი N. 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა: გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. მათემატიკა: სასურველია პედაგოგებმა შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და



		შექმნის პროცესში ჩართონ მოსწავლეები. (პრეზენტაციის, წყვილებში მუშაობის, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების და სხვა რუბრიკები) კომპიუტერული ტექნოლოგიები: შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს სასურველია მკაფიოდ წარმოაჩინოთ საგნობრივი სტანდარტის რომელ მისაღწევ შედეგზე გადის კონკრეტული შემაჯამებელი დავალება
ინდიკატორი N. 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	კომპიუტერული ტექნოლოგიები: სასურველია განმსაზღვრელი შეფასებაში მკაფიოდ ჩანდეს საკითხი, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები, სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა კომენტარებისთვის, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი ახსნის, თუ რატომ შეაფასა მოსწავლე ამა თუ იმ ქულით.
ინდიკატორი N. 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: დამატებითი რესურსებში, სადაც წერია „ინტერნეტ-რესურსები“, საჭიროა ბმულის ჩაწერა („ჩვენი საქარველო“, მე-6 კლ), ასევე სადაც მითითებულია მაგალითად, „პოსტერის შექმნა“, აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი ბმული. („მე და საზოგადოება“, მე-3 და მე-4 კლასი).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N. 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	სახელმწიფო ენა: კურიკულუმის ჩარჩოში „სასურველია, ყველა თემისთვის განისაზღვროს შესაბამისი ცნებები და ქვეცნებები; მე-7 მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მიეთითოს ძირითადი



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმძღვანელო, მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კი მიეთითოს რესურსები. სასურველია, კათედრის წევრებმა გადახედონ კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების საკითხი განიხილებოდეს კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებით („გეოგრაფია“, მე-7, მე-9 კლასი). ამ მხრივ ასევე საყურადღებოა მაგალითები შედარებისთვის, რომელიც გვამძლევს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას („გეოგრაფია“, მე-7, მე-9 კლასი) მათემატიკა: სასურველია, რომ პედაგოგებმა კურიკულუმებში (მე-8 კლასის კურიკულუმებში შესაბამისი გრაფა სრულად ცარიელია.) აუცილებლად ასახონ ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები. ასევე, პედაგოგებმა სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენონ ელექტრონული რესურსები, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში. მე-7 და მე-9 კლასების კურიკულუმში პედაგოგებმა მიუთითონ სახელმძღვანელოდან და დამხმარე მასალებიდან თემის დასამუშავებლად საჭირო რესურსებს შესაბამისი გვერდები.
ინდიკატორი N. 2.1.2.2	კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; მიემართება	სახელმწიფო ენა: ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში. კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.



		საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „არგუმენტირებული ესეს დაწერა ფერეიდნელი ქართველების შესახებ“ („ისტორია“, მე-9 კლასი, „მოქალაქეობა“, მე-8 კლასი).
ინდიკატორი N. 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: ძირითად სასწავლო რესურსად მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო (გამომცემლობა, გვერდები),) („გეოგრაფია“ მე-7 კლ). სახელმწიფო ენა: მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, მსგავსად სხვა კლასებისა, მიეთითოს სასწავლო რესურსები. მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კი მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელო .
ინდიკატორი N. 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა: შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე. მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.
ინდიკატორი N. 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა: გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ კონკრეტული დავალების/აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. მათემატიკა: სასურველია პედაგოგებმა შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე



		ცნებებთან, კერძოდ, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და შექმნის პროცესში ჩართონ მოსწავლეები.(პრეზენტაციის, წყვილებში მუშაობის, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების და სხვა რუბრიკები)
ინდიკატორი N. 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: დამხმარე ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს საჭიროა, მიეთითოს შესაბამისი ბმული („მოქალაქეობა“, მე-8 კლ)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N. 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა: სასურველია, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მიუთითონ ძირითადი სახელმძღვანელო; მეათე და მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კი მიუთითონ შესაბამისი რესურსები და სახელმძღვანელოს გვერდები. სასურველია, კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს ფორმასა და შინაარსზე (მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, განსხვავებით სხვა კლასებისგან, ტექსტი, კონტექსტმაგალითები და პარალელები გამიჯნულია ერთმანეთისგან) და შეავსონ შესაბამისად. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ყველა თემის ფარგლებში შეიტანონ განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები . სასურველია, კათედრამ ადახედოს კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად.



		საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრულ ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება და კომპლექსური დავალებები დაეფუძნოს კონტექსტ-მაგალითებს („საქართველოს ისტორია“, მე-10 კლ და „გეოგრაფია“, მე-10 კლასი). ასევე მნიშვნელოვანია, საკითხთან შესაბამისობით იყოს კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის („საქართველოს ისტორია“ მე-10 კლ). მათემატიკა: სასურველია სკოლამ კურიკულუმებში ასახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები. ასევე, სასურველია პედაგოგებმა სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენონ ელექტრონულ რესურსები, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში. საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმში საკითხის დასამუშავებლად საჭირო რესურსებს სახელმძღვანელოდან, ასევე დამხმარე მასალებიდან მიეთითოს შესაბამისი გვერდები. უცხოური ენა: ინგლისური ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩასწორდეს ცნებები და საფეხურის შედეგები ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად-ჟანრი (Iუცხ.საშ.1,2,3,5,6) სამეტყველო ქმედება (Iუცხ.საშ.2,3,4,5,6) ენობრივი საშუალებები (Iუცხ.საშ.1,2,3,4,5,6) კულტურათა დიალოგი (Iუცხ.საშ.6) მაგალითად, ცნება „ტექსტი“-ის ნაცვლად უნდა იყოს- ჟანრი მე-10 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში დაემატოს კონტექსტ-მაგალითები - მე-3 თავში საერთოდ არ არის, მე-5 თავში წარმოდგენილი ბმული არის რესურსი და არ წარმოადგენს კონტექსტ-მაგალითს; რუსული ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებისთვის შემუშავდეს შეფასების სქემები;
--	--	--



ინდიკატორი N. 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახელმწიფო ენა: ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენის კათედრას აქვს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტები სწავლის მიზნის მისაღწევად, გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, საინფორმაციო პოსტერის მომზადება სახელწოდებით „არგუმენტირებული ესეს დაწერა მეწარმეობის პიროვნული და საზოგადოებრივი ასპექტების შესახებ“ („მოქალაქეობა“, მე-11 კლასი). მათემატიკა: სასურველია პედაგოგებმა განახორციელონ უფრო მრავალფეროვანი აქტივობები და პროექტები.
ინდიკატორი N. 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენა: მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მიუთითონ ძირითადი სახელმძღვანელო და რესურსების გრაფაში დააკონკრეტონ გვერდები.

ინდიკატორი N. 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა: შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს, სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.
ინდიკატორი N. 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა: გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი N. 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: დამატებითი რესურსებში, სადაც წერია „ინტერნეტ-რესურსები“, საჭიროა ბმულის მითითება („ისტორია“, მე-10 კლასი,).

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“-პირველ სტანდარტთან მიმართებაში 1.1.1.3, 1.1.1.4, 1.2.1.3, 1.2.1.4, მესამე სტანდარტთან მიმართებაში 3.1.1.1, 3.1.2.3, 3.1.2.4, 3.6.3.5-შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი. ხოლო ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა როგორც **ნაწილობრივად** შესაბამისი.

მეორე სტანდარტთან მიმართებაში - დაწყებით საფეხურზე - ინდიკატორები 2.1.2.1, 2.1.2.2, 2.1.2.3, 2.1.2.4.; საბაზო საფეხურზე - ინდიკატორები 2.1.2.1 და 2.1.2.4.; საშუალო საფეხურზე - ინდიკატორი: 2.1.2.1; 2.1.2.5 და 2.2.1.3. ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „**მეტწილად** შესაბამისი“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია: კონკურენტია, კეთილმეგობრული, სწავლა/სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, ხარისხზე ორიენტირებული გუნდური და თანამშრომლობითი მუშაობის გაძლიერების ხელშეწყობის გზით. ასევე, კვლევისა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული STEAM სწავლების გაძლიერება, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კოლაბორაციის, მოქალაქეობის, ხასიათის ნებელობის უნარების განვითარების ხელშეწყობის გზით.

სკოლის ხედვა: მომდევნო 7 წლის განმავლობაში მოსწავლეების, მშობლებისა და პედაგოგების თანამშრომლობით შექმნას უსაფრთხო, ეფექტური, ინკლუზიური სასწავლო და სამუშაო გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ კარგი და მაღალი სასკოლო მოტივაცია, აგრეთვე სკოლისადმი დადებითი დამოკიდებულება. სკოლის ხედვით უნდა მოხდეს საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მუშაობის ინტეგრაცია. მოსწავლე უნდა ვითარდებოდეს, როგორც გონებრივად ისე ფიზიკურად. მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, ინტელექტუალური თუ ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი, მოახერხოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება და მომავალში არჩევანის გაკეთება განათლებასა და შრომით საქმიანობაში.

სკოლის მისიასა და ხედვაში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული ისეთი საკითხები, როგორებიცაა კონკურენტუნარიანობა, პატრიოტული ღირებულებებისა და კრიტიკული აზროვნების მქონე, ინტელექტუალური, შემოქმედი, მოქალაქის აღზრდა. ასევე განსაზღვრულია კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობა და ანალიტიკური აზროვნების შედეგად საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

2. სკოლის მისიითა და ხედვით გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, კვლევისა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული STEAM სწავლების გაძლიერება, კრიტიკული აზროვნება და სხვა. სკოლა არის კეთილმოწყობილი, გარემონტებული და მასში არსებული სივრცეები შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს მრავალფეროვანი აქტივობები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ 2023 წლის 7 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მოხდა სკოლის ფილოსოფიის შეთანხმება, ხოლო 8 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს მიერ მოხდა მისი დამტკიცება. თუმცა, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული მისია და ხედვა არ შეესაბამება 2023 წელს დამტკიცებულ სკოლის ფილოსოფიას. სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, თუ როგორ მოხდა სკოლის მისიისა და ხედვის

შემუშავება. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით შემუშავება მოხდა ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე, ასევე აღნიშნულია, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულები კათედრები, თუმცა რაიმე სახის მტკიცებულება რითიც დადასტურდება სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლამ ვერ წარმოადგინა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 02.09.2025 – 08..09.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

4. სკოლას არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რითიც დადასტურდება სასკოლო საზოგადოების მიერ მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების ფაქტი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 02.09.2025-08.09.2025 შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოებისათვის მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარება.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის პირველ სართულზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, თუმცა არ არის განთავსებული სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.

რჩევა: სკოლის ფილოსოფიის მეტად საჯაროობის მიზნით სკოლამ მისია, ხედვა და ღირებულებები ასევე განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

6. სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებით“ განსაზღვრულ ტიპს და სტატუსს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2023 წლის 8 სექტემბრის N6 სხდომის ოქმი;

სამეურვეო საბჭოს სხდომის 2023 წლის 7 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი;

2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში განმარტებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და მითითებულია, რომ სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე და განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები, დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირები, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების სტრუქტურა. მეთოდოლოგიის შესაბამისად დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, თუმცა ამ ეტაპზე ამგვარი ჯგუფი სკოლაში შექმნილი არ არის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

2. სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 20 სექტემბრის N2 სხდომაზე სკოლას დამტკიცებული აქვს 2023-2030 წლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმა შედგება სკოლის ფილოსოფიის, SWOT ანალიზის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებისგან. გეგმა მოიცავს შვიდ სტრატეგიულ მიმართულებას: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.11.2025 – 20.12.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

4. იმის გამო, რომ წარმოდგენილი არ არის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა, ვერ დგინდება განსაზღვრულია თუ არა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.11.2025 – 20.12.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა მოხდება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხოლო მონიტორინგი სამ წელიწადში ერთხელ. სამოქმედო გეგმის გადახედვა და მონიტორინგი მოხდება პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს. ამ მიზნით არაუგვიანეს 30 სექტემბრისა გათვალისწინებულია წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შუალედური შეფასება ხდება პირველი სემესტრის დასასრულს, ხოლო საბოლოო შესრულების მონიტორინგი ტარდება ყოველწლიურად, რომელიც უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 20 ივნისისა. სემესტრული ანგარიში უნდა მომზადდეს სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2023-2024 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შესაბამება

- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული შემდეგი თანამდებობები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მასწავლებლები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 3 დამლაგებელი, 3 სსსმ ასისტენტი, 3 დარაჯი და ცეცხლფარეში. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამშრომლებთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ასევე წარმოდგენილი დამრიგებლის მუშაობის დებულება. სკოლას არ აქვს ცალკე დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები. სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო) საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებით“. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. სკოლას არ აქვს სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების აღმწერი დოკუმენტი. სკოლაში



წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 06.10.2025 – 06.11.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

- სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები არ არის გაწერილი სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. არის მხოლოდ დამრიგებლის მუშაობის დებულება. ხოლო სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულია პირი -დირექტორის მოადგილე, რომელიც მისი არყოფნის დროს ასრულებს დირექტორის მოვალეობას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქციებს და ჯეროვნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამრიგებლის მუშაობის დებულება;

შრომითი ხელშეკრულებები;

საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

- პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
- სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს პერსონალის შერჩევის პროცედურებს, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებსა და ადაპტაციისათვის საჭირო აქტივობებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მართვას, მოტივაციის მიზნით განსახორციელებელ აქტივობებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესი არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, რაც დასტურდება ხელმოწერით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების გადანაწილება ხდება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე, რომელიც რეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში.

სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. წარმოდგენილია ჩატარებული მასწავლებლისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის (ასისტენტის) კონკურსის მასალები, რომელიც გამოცხადებული იყო teacherjobs.ge-ზე. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის (სსსმ პრის ასისტენტი) კონკურსის გამოცხადებისას, განაცხადების წარმოდგენის ვადად განსაზღვრულია 10 დღეზე ნაკლები პერიოდა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2018 წლის 21 თებერვლის N16/6 ბრძანებით დამტკიცებულ იდენტიფიცირების მექანიზმებს, რომლის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვრება საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც არ შეიძლება იყოს ათ დღეზე ნაკლები.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები და პირადი საქმეები. შედეგად დადგინდა, რომ სამი მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული ცნობა ნასამართლობის შესახებ, ხოლო 2020 წლის ივნისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული პირების პირად საქმეებში არ იყო განთავსებული უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის კონკურსის ვადად განსაზღვრული იყო 5 დღე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული იდენტიფიცირების მექანიზმების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას განაცხადების წარდგენის 10 დღიან ვადასთან მიმართებაში.

სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულთა ცნობები ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე უფლების ჩამორთმევისა და სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 06.10.2025 – 06.11.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევის დროს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის დაცვა

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. Eschool - ის ბაზის მონაცემების საფუძველზე, დგინდება, რომ სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია სულ 28 მასწავლებელი, მათგან 21 უფროსი, 6 - წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონეა, ასევე დასაქმებულია ერთი მოწვეული მასწავლებელი, რომლის საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ საათებს. ვერ იქნა წარმოდგენილი სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლას არ აქვს განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ვერ დადგინდა, რამდენად შეესაბამება მათი კვალიფიკაცია დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 06.10.2025 – 06.11.2025. სკოლამ უზრუნველყოს დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.

სკოლამ დამატებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ექიმის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.07.2025-01.07.2026.

სკოლამ	უზრუნველყოს	მითითებულ	ვადაში
--------	-------------	-----------	--------

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი 1-ით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის წარმოდგენა.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. სკოლაში განხორციელდა არაერთი სასკოლო პროექტი. აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში კარგად გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის დირექციის მხრიდან ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება მაღლობის გამოცხადებით, ფასიანი საჩუქრებით (წიგნებით) და მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტების, თუ აქტივობების განხორციელებისას. გამოიკვეთა, რომ მხარდაჭერა აისახება მოტივაციაზე, მუშაობის ხარისხზე და დადებით გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე. როგორც დასაქმებულთა, ისე მოსწავლეთა წარმატებების გაზიარება ხდება როგორც სოციალურ, ისე სასკოლო სივრცეში. სკოლის შენობაში მრავლადაა გამოფენილი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა წარმატებების ამსახველი მტკიცებულებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
4. შრომითი ხელშეკრულებები;

5. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
6. სტრუქტურული ერთეულების წლიური სამოქმედო გეგმები.
7. პორტირებული მონაცემები Eschool -ის ბაზიდან;
8. თანამშრომელთა პირადი საქმეები;
9. შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაცია.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. შეფასებების საფუძველზე იგეგმება გაუმჯობესების გზები. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ ინოვაციური ხედვები. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმები და შესაბამისი ინტერვენციები. სკოლას აქვს გამოცდილება დასაქმებულის ინიციატივის საფუძველზე პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ხელშეწყობის. კერძოდ: სკოლის ბუღალტერს დაუფინანსა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგი. ასევე, ახალ მასწავლებელს, რომელსაც ჰქონდა გარკვეული პრობლემები მართვის კუთხით, შეფასდა მისი საჭიროებები და ჩაუტარდა ტრენინგები, რაც დადებითად აისახა მის პროფესიულ განვითარებაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი არ ფასდება.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად კარიერული ზრდის თვალსაზრისით ძირითადად განსაზღვრულია ტრენინგებში მონაწილეობა, სწავლება, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური განვითარების გეგმა, სკოლის პედაგოგები ესწრებოდნენ მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სერტიფიკატები და ცნობები. სკოლას ჰყავს მასწავლებლის მაძიებლობის პროგრამაში ჩართული მასწავლებელი. განსაზღვრულია ტუტორი. სკოლის მენტორი მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. სკოლის მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები პოზიტიურად აისახება სკოლის თანამშრომლების კარიერულ წინსვლაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ პერსონალის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია ახალ თანამშრომელთან ურთიერთობის დაწყების წესი და პირობები. განსაზღვრულია დირექციის ვალდებულებები, რომელმაც ახალ თანამშრომელს უნდა გააცნოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები, სკოლის შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, სამუშაო გრაფიკი. ხდება მასწავლებლის წარდგენა და მისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასკოლო რეგულაციების გაცნობა. სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ასევე, გაწერილია ის აქტივობები, რაც უნდა განხორციელდეს სკოლის მიერ და ამ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.



5. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები პერსონალის მხრიდან ძირითადად გამოიკვეთება ზეპირსიტყვიერად. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად გათვალისწინებულია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დასაქმებულებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლის დირექტორის მიერ წახალისების მიზნით არაერთხელაა გაცემული დასაქმებულებზე ფასიანი საჩუქრები, გამოცხადებულია მადლობა და დაჯილდოვებული არიან სიგელებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის შინაგანაწესი;

სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2025 წლის თებერვალში დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. იგი ითვალისწინებს შიდა და გარე შეფასების სისტემას, სასწავლო პროცესის მომდინარეობასა და სასწავლო პროგრამების შემოწმების პროცედურას, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დაგეგმვას, ადამიანური და მატერიალური რესურსების შემოწმების მიზნით სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. შიდა შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპებს. მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ დემინგის ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაა. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, მონიტორინგი და შეფასება. დამხმარე პროცესები - საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ. - რაც ასევე შეუფერხებლად მიმდინარეობს. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას

განსაზღვრული აქვს მის მიერ დამტკიცებულ სხვადასხვა დოკუმენტებში: როგორცაა პერსონალის მართვის პოლიტიკა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი, საჩივრების განხილვის წესი და სხვა. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას იდენტიფიცირებული და გააზრებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას დამტკიცებული აქვს „პერსონალისა და მშობლების უფლებების დაცვის მექანიზმები, გასაჩივრების პროცედურები“. მასში გათვალისწინებულია საჩივრის განხილვა-გადაწყვეტა, ადმინისტრაციული საჩივარი, საჩივარზე უარის თქმის წესი, საჩივრის ფორმა, განცხადების ფორმა, საჩივრის განხილვის შედეგები, წარმოების ვადები, ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობა და სხვა. როგორც გასაუბრებით დადგინდა სკოლისათვის საჩივრით არავის მიუმართავს, ხოლო განცხადებების განხილვა ამ წესის ამოქმედებამდე ხდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალისა და მშობლების უფლებების დაცვის მექანიზმები, გასაჩივრების პროცედურები;

შინაგანაწესი

შრომითი ხელშეკრულებები

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, თუმცა მასზე არ არის ინფორმაცია მიმდინარე წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. სასწავლო წლის განმავლობაში მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა აგრეთვე ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს. კლასის დამრიგებლები, აქტიურად იყენებს სხვადასხვა დახურულ ჯგუფებს.

რჩევა: სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლამ აქტიურად გამოიყენოს საჯარო სივრცე სოციალური ქსელის სახით და მასზე სისტემატურად განათავსოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში. ისინი წარმოდგენილები არიან მართვის კოლეგიურ ორგანოებში. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მასწავლებლების და მშობლების წარმომადგენლის წევრობით. სამეურვეო საბჭო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სკოლის ბიუჯეტთან, დისციპლინური კომიტეტის არჩევასთან, სააპელაციო კომიტეტის არჩევასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

პედაგოგიურ საბჭოში და საგნობრივ კათედრებში მასწავლებლების ჩართულობით უზრუნველყოფილია პედაგოგების მონაწილეობა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში არიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. მრჩველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია წარმომადგენლობითად სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეები, დირექტორი, რესურსცენტრის წარმომადგენელი, რომლებიც თანამონაწილეობით იხილავენ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

მრჩველთა საბჭოს სხდომის ოქმი

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

<https://www.facebook.com/profile.php?id=100010153482915>

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არის ახლადრეაბილიტირებული. იგი სრულადაა აღჭურვილი სახანძრო სისტემით, მათ შორის სიგნალიზაციით. სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსათვალითვალო კამერები, მანათობელი მანიშნებლები. პერიოდულად ახორციელებს სასმელი წყლის სინჯის ლაბორატორიულ შემოწმებას.

დასაქმებულია სამი დარაჯი. ვიზიტის დროს სკოლის ფოიეში დარაჯებისთვის არ იყო გამოყოფილი შესაბამისი ფართი და ინვენტარი, შესაბამისად ვერ დასტურდებოდა მათი მხრიდან სკოლაში შემოსულ უცხო პირთა კონტროლი. სკოლამ წარმოადგინა ფოტოსურათები, რითიც დასტირდება, რომ სკოლის შესასვლელში მოწყობილია დარაჯისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე.

ასევე, არ იყო დაცული სკოლის გარე პერიმეტრზე ორ მხარეს, ღობის მთლიანობა. კერძოდ: შენობის უკანა მხარეს დროებით მოხსნილი იყო ე.წ დაწული ღობე, ხოლო გვერდით შემოღობილი იყო ბეტონის ფილებით, რომლის ნაწილი იყო ჩამოშლილი. მოსაზღვრე ტერიტორიაზე მიმდინარეობს მშენებლობა და როგორც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რეაბილიტაციის დროს ღობის შეცვლა არ მომხდარა. სკოლამ წარმოადგინა ფოტოსურათები, რითიც დასტურდება, რომ აღდგენილია სკოლის უკანა მხარეს დაწული ღობის მთლიანობა. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი, თუმცა არ არის დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 2025 წლის 24 მარტს სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მიზნით.

სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვებაში დახმარების თხოვნით, გაგზავნილია წერილი თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მიღების მიზნით (სკოლა რეაბილიტირებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ).

სკოლას არ წარმოუდგენია მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.04.2025 – 04.04.2027. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს:

- გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების სრულად დაცვა და ღობის აღდგენა.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება;
- შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვება;
- უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების თაობაზე მიმართვის გაგზავნა;

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღება.

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად და აწარმოებს საჭირო ინფორმაციის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში. ასევე დამტკიცებულია სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით“. სკოლას ჰყავს ორი მანდატური. ასევე, განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები. დადგენილია მორიგეობის გრაფიკი. სკოლას დამტკიცებული აქვს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.

სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სპეციალური მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი. ისინი უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აქტივობები იგეგმება იმგვარად რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის.

რჩევა: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლამ შესთავაზოს მათ სხვადასხვა პრევენციული ხასიათის აქტივობები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს მნიშვნელობისა და როლის მეტად გააზრებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დასაქმებულია 3 დამლაგებელი. სკოლა ფლობს ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების („წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“) შესაბამისად დალაგების პირობების თაობაზე, რაც ასევე დასტურდება დამლაგებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი ვალდებულებებით. სკოლის ექიმი ზედამხედველობს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, აგრეთვე პერსონალისთვის. სსსმ მოსწავლეებისთვის ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა).

6.სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (განსაზღვრულია თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ 2025 წლის 24 მარტს) და ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. 2025 წლის 14 თებერვალს დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელშიც განსაზღვრულია ყველა ის პროცედურა, რასაც სკოლა ახორციელებს მონაცემთა დამუშავების მიმართულებით. წარმოდგენილია თანამშრომლების თანხმობა, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს აგრეთვე მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მაშინ როდესაც სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7.სკოლის მიერ დამტკიცებულ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებში დეტალურადაა გაწერილი სასკოლო საზოგადოების წევრების პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპები და მექანიზმები. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დარაჯის ხელშეკრულება;
2. შინაგანაწესი;
3. სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი;

4. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
5. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები;
6. დამლაგებლის ხელშეკრულება;
7. სამედიცინო დახმარების წესი
8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები;
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ ბრძანება
10. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
11. მორიგეობის გრაფიკი;
12. მასწავლებლის თანხმობა;
13. საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ ბრძანება;
14. წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
15. წერილი თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახლად რეაბილიტირებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (ამონაწერი არის 2015 წლის), სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 22720 და 12740 კვ. მ მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია შენობა საქვებისთვის და სველი წერტილი (ამჟამად არ ფუნქციონირებს). სკოლის შენობა არის ორსართულიანი და მისი ფართია 1237 კვ.მ. სკოლის შენობაში განთავსებულია დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, ბუღალტრის ოთახი, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის დამოუკიდებელი კაბინატები), რესურსების შესანახი ოთახები, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, დამლაგებლებისთვის განკუთვნილი ოთახი, სასადილო. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას.

სკოლაში არის სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის, აგრეთვე ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, ხოლო მეორე სართულზე ასავლელად დამონტაჟებულია ლიფტი.

სკოლაში არის საკლასო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, საკლასო დაფებით, კარადებით. სამასწავლებლოში განლაგებულია მაგიდები და სკამები, კომპიუტერები, კარადები. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, პროექტორით. ყველა პედაგოგს სარგებლობაში გადაცემული აქვს ლეპტოპები და საშუალება აქვთ ნებისმიერი საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენონ საჭიროებისამებრ რათა უფრო ეფექტური გახადონ სასწავლო პროცესი.

სკოლის ეზო არის კეთილმოწყობილი. ეზოში არის სარეკრეაციო სივრცე, სადაც ცალკეულ შემთხვევებში ატარებენ საგაკვეთილო პროცესს.

სკოლას ავტორიზაციის განაცხადი წარდგენილი აქვს 500 მოსწავლეზე. დგინდება, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროისთვის სკოლა მზაობას აცხადებს იმდენ მოსწაღეზე რამდენი სასკოლო ინვანტარიც ერიცხება ბალანსზე ვარგის მდგომარეობაში. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მხატვრულ ლიტერატურას. სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი.

სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია და დამატებითი ოთახები. სკოლა რეაბილიტირებულ შენობაში გადასულია 2024 წლის ნოემბრიდან და როგორც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, ლაბორატორიების დამხმარე ოთახები აღსაჭურვია შეაბამისი ინვენტარით. ლაბორატორიებში არის ონკანები და დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. განთავსებულია ლაბორატორიული ჭურჭელი, ქიმიური რეაქტივები, მულაჟები, ხელსაწყოები, სხვადასხვა სასწავლო რესურსი. სკოლაში არის კალათბურთის, ფეხბურთის ბურთები, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის, ლაბორატორიებითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სამასწავლებლო. როგორც მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სკოლის ეზოში მოწყობილი სივრცეები მოსწავლეთა დასვენების, ერთმანეთთან კომუნიკაციის და სხვადასხვა

ღონისძიებების განხორციელების ადგილია. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს.

რჩევა: მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში გათვალისწინებულია მუსიკისა და უცხო ენების კაბინეტები, რომელთა არსებობა ვიზიტის დროს არ დადასტურებულა. სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობაში მოიყვანოს ზემოაღნიშნული წესი არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლაში არის კეთილმოწყობილი, ყველა სავალდებულო რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მუშაობას, აწარმოებს ბიბლიოთეკის საქმიანობისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას. კერძოდ, აღრიცხულია სკოლის ბალანსზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი, ასევე აწარმოებს შესაბამისად დამუშავებულ რესურსების კატალოგს, მკითხველის ფორმულარს.

წიგნადი ფონდის უდიდესი ნაწილი დამუშავებულია ელექტრონულად და შეტანილია ელექტრონულ ბაზებში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. ხშირად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები.

რჩევა: სკოლამ განაახლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულადაა ადაპტირებული შშმ პირებისთვის. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელად დამონტაჟებულია ლიფტი. ორივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები. მოსწავლეებისათვის სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო სივრცე და რესურსები. რესურს ოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით, საკანცელარიო ნივთებითა და ინვენტარით, (პუფი, ხალიჩა, კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტთან წვდომა, ფაზლი, რიცხვები, პლასტელინი, ფანქრები, ფლომასტერები).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოცო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი ეზო, სადაც იმართება აქტივობები. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებსა და დასაქმებულებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ისე ეზოში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების

განვითარებას. მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკით და კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლაში სრულადაა აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით. კომპიუტერები განთავსებულია ლაბორატორიაში (25), ბიბლიოთეკაში (5), ექიმის, ბუღალტრის ოთახებსა და რესურსოთახში, ასევე, სამასწავლებლოში. ყველა მასწავლებელს დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს ლეპტოპები. სკოლაში ასევე არის 4 პროექტორი, სკოლის კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლას დამტკიცებული აქვს „ტექნოლოგიების განვითარების დებულება“, რომლის შესაბამისად დაგეგმილია SMART დაფების შეძენა, საკლასო ოთახებში კომპიუტერების განთავსება. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

- სკოლამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების მართვის წესი. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებს. ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. რაც შეეხებათ მასწავლებელს როგორც მათ აღნიშნეს, ისინი სისტემატურად იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას სასწავლო რესურსების მოძიებისათვის და სრულად სარგებლობენ ელექტრონული რესურსით. ყველა მასწავლებელს აქვს პორტაბელური კომპიუტერი და შესაძლებლობა აქვთ აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში. სკოლას დამტკიცებული აქვს ტექნოლოგიების განვითარების დებულება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მატერიალური რესურსების მართვის წესი;
2. მიღება-ჩაბარების აქტები.
3. ტექნოლოგიების განვითარების დებულება;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლის საქმისმწარმოებელს მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow.emis.ge) საშუალებით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების).

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის მომზადება სკოლის ბუღალტრის მიერ და სამინისტროსთან შეთანხმება. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge

გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: tsinandali@mes.gov.ge სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

4. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე სკოლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ფლობენ ინფორმაციას ყველა იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც სჭირდება მაკონტროლებელი ორგანოების თანხმობა (იჯარა, სარგებლობაში გადაცემა და სხვა).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი 10 დეკემბრის ანგარიშის წარდგენაზე;
3. სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ს, Eflow.emis.ge-სა და procurement.gov.ge-ს სისტემაში. სკოლის ელექტრონული ფოსტა tsinandali @mes.gov.ge
4. საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ გვერდი. (<https://skolebi.emis.ge/schools/1175?schoolName>). მასზე განთავსებულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ფუნქციონირებს ფეისბუქ გვერდი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100010153482915>) და დახურული საკომუნიკაციო ჯგუფები. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, თიმსის პლატფორმაზე და სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით.

რჩევა: საზოგადოების მეტად ინფორმირების და კომუნიკაციის მიზნით, სკოლამ სისტემატურად განათავსოს სოციალურ ქსელში უახლესი ინფორმაცია

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციები გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი არ ფასდება.

4. სკოლას აქვს მოქმედი სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1175?schoolName> , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 08.09.2025 – 08.10.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე

შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ვებ-გვერდზე განთავსება.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებ სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი
<https://skolebi.emis.ge/schools/1175?schoolName>
2. <https://www.facebook.com/profile.php?id=100010153482915>

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ბიუჯეტის, სამეურვეო საბჭოს ოქმებისა და შესყიდვების წლიური გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით ყოველწლიურად სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. ასევე, საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლის დირექტორი, შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირი და ბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი

სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი

სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის ანგარიშზე.

ბრძანება „წლიური შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ.“

ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.“

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, ასევე განსაზღვრული ჰყავს მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სხვადასხვა სახის სამართლებრივ აქტებში იკვეთება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები სკოლაში დაცულია და გარანტიები უზრუნველყოფილი. სკოლის შინაგანაწესში, რომელიც საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მკაფიოდაა

ჩამოყალიბებული მოსწავლის უფლებები და მოვალეობები. გათვალისწინებულია დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მოსწავლეთა წახალისების გამოყენების ფორმები. დამტკიცებულია სკოლაში გასაჩივრების დეტალური პორცედურები. ასევე განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის სახეები, რომელთა უმეტესობა მოსწავლეთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. ასევე განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს მანდატურები, სკოლის ექიმი; თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი. სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. მშობელს შეუძლია წინასწარი შეთანხმებით შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას ინდივიდუალურად ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასევე მშობელთა კრებებზე. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ამა თუ იმ პროცესებზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვადასხვა უწყებებთან უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მორიგეობის განრიგი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. აგრეთვე, დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის ფუნქციებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პირობები. ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- ბრძანება „უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“
- ბრძანება „მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებისა და მოსწავლეთა უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი“, სადაც განსაზღვრულია მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურა, ასევე სხვა კლასებში ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და საფეხურის დამლევის მექანიზმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამჭვირვალე და მკაფიოა, რაც შესაბამისია ინდიკატორთან. დაკონკრეტებულია სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურა. საფეხურის დამლევის მექანიზმი ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოსწავლეთათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ხდება მოსწავლის მიერ საფეხურის დამლევის შესახებ (თუ როგორ მოხდება საფეხურის დამლევა) ინფორმაციის მიწოდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის“ შესაბამისად. დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; მოსწავლის ჩარიცხვა და მობილობა ხორციელდება მხოლოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის“ შესაბამისად. ხოლო სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა-კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სასკოლო ექსკურსიებისა და ღინისძიებების შესახებ. ინფორმაციის გავრცელება ხდება ასევე სოციალური ქსელისა და დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის შინაგანაწესი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე და გამოკრულია სკოლის შენობაში. იმის გამო, რომ სკოლამ რეაბილიტირებულ შენობაში სწავლა განაახლა 2024 წლის ნოემბერში, 2024-2025 სასწავლო წელს რაიმე სახის დამატებითი მომსახურება მოსწავლეებისთვის შეთავაზებული არ ყოფილა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. სკოლის სოციალურ გვერდზე გაზიარებული, ხოლო სკოლაში არსებული გავრცელებული აქტივობებისა და რესურსების ინფორმაცია, კანონმდებლობის შესაბამისია. ისინი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ნიშნებს და ხელმისაწვდომია, როგორც სკოლის შენობაში მისული პირისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება;
- შინაგანაწესი;
- სტატუსის შეჩერება/აღდგენის ბრძანება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის ადაპტირების ყველა ეტაპი სასწავლო გარემოში, გათვლისიწინებულია ყველა საფეხური, ასევე სსსმ მოსწავლეთა ადაპტირება, დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა ადაპტირების პროცესის რისკები. ასევე განსაზღვრულია დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესის განსახორციელებელი ღონისძიებები. აღნიშნულის წარმატებით განსახორციელებად მთავარ დამაკავშირებელ რგოლად სკოლას მიაჩნია დამრიგებელი, რომლის ფუნქციაც ამ მიმართულებით ასევე გაწერილია დამრიგებლის დებულებაში. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდება პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობს სასკოლო გარემოს. აღნიშნულიდან გამომდინარე ადაპტირების წესი შექმნის სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი არ ფასდება.

3. სკოლა საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში მასწავლებლები უზრუნველყოფენ დამატებითი გაკვეთილების ჩატარებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დამრიგებლის დებულების შესაბამისად განსაზღვრულია, რომ დამრიგებელი იღებს ინფორმაციას მასწავლებლებისაგან თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა და წარმატებების შესახებ, ასევე დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში. დებულებითვე დასტურდება, რომ დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მუდმივად ინდივიდუალურ ინფორმირებას დამრიგებლის მეშვეობით, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით) იმისათვის, რომ დროულად მოხდეს სკოლის მხრიდან დახმარების გაწევა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის დირექცია ექსტერნატის ფორმით დამლევს, გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადებისა და სხვა სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სოც. ქსელების დახურულ ჯგუფში აზიარებს, აწვდის ინფორმაციას დამრიგებლებს და ავალებს მათ გააცნონ მშობლებსა და მოსწავლეებს. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ

წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ახდენენ მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობას. ამასთან, იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალური განათლებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის წახალისებას. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობების განხორციელებაში. მონაწილეობას იღებენ და წარმატებას აღწევენ არაერთ სპორტულ ღონისძიებაში, რომლის ამსახველი ჯილდოები გამოფენილია სასკოლო სივრცეში. აქტიურია სკოლაში საკლუბო მუშაობა. კერძოდ, სამოქალაქო განათლების მიმართულებით ეკო და სამოქალაქო კლუბური მუშაობის ფარგლებში განხორციელდა არაერთი პროექტი: „ერთად დავასუფთაოთ გარემო“, „შენი ტყე“, ასევე პროექტი „განათლება მდგრადი მომავლისათვის“, „დავიცვათ გარემო დაჩვენო ჯანმრთელობა“, „გარდატეხის ასაკის ლაბირინთები“. განხორციელდა საგრანტო პროექტი „წყალდიდობა და ჩვენი სკოლის გამოწვევები“ და პოეტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ტრადიციები, ძველი ქართული წარწერები ნეკრესის მონასტრის კედლებზე და სხვა). სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება სხადასხვა ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სივრცეებს სასკოლო ღონისძიებების მოსაწყობად. მდრადი განვითარების პროექტის ფარგლებში მოსწავლემ მიმართა დირექციას ინიციატივით ჩატარებინა ტრენინგები. მოსწველე იმავდროულად იყო პროექტში კლიმატის ელჩი გამარჯვებული. სკოლამ მხარი დაუჭირა მოსწავლეს, რომელმაც შექმნა ჯგუფები, გაანაწილა ფუნქციები და კლასებში წარადგინა პრეზენტაციები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ ისინი დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც ძირითადად მოწოდებულია ზეპირად. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მეტად შეუწყოს ხელი მათ თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. დაგეგმილია გარკვეული მექანიზმის შემუშავება, ფოკუს ჯგუფების შექმნა, მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვა, რათა სკოლამ გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამრიგებლის დებულება

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
სკოლის მიერ განხორციელებული აქტოვობები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია და ამ მიზნით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლები ეწვივნენ სკოლას. განხორციელდა მოსწავლეთა ვიზიტები თელავსა და ახმეტაში პროფესიულ სასწავლებლებში, ასევე ღვინის ქარხანაში. სკოლაში ჩატარდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, მათ შორის დაინტერესება გამოიწვია ბაჭანა-ბაბანაურის დაცული ტერიტორიების რეინჯერთან შეხვედრამ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი არ ფასდება

3. დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს მშობლებთან შეხვედრებისას ან „კლასის საათის“ ფორმატში. მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილია, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უკუკავშირი სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლიდან. ამ მიზნით დაგეგმილია კითხვარების შემუშავება, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც განსაზღვრავს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, ასევე შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სერვისის გაუმჯობესებასა და დახვეწას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება.
- ღონისძიებების ამსახველი პრეზენტაციები.
სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ანგარიში
- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე ეროცხებოდა 6 სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილია შესაბამისი ისგ ჯგუფები და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმების შესაბამისად. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ისგ ჯგუფები პერიოდულად იკრიბებიან და იხილავენ კონკრეტულ სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. სკოლას აქვს რესურსოთახი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიერ დგება ინტერვენციისა და ტრანზაქციის გეგმები. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო სასწავლო ღონისძიებებში და არაფორმალური აქტივობებში, რასაც ადასტურებს მათ მიერ შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტი

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ისგ ჯგუფები, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი

მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. სპეციალური მასწავლებლებს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისე ჯგუფის სხდომის ოქმები. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. სკოლის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ სსსმ მოსწავლეები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინტერვენციის გეგმა.
- ინდ.გეგმები.
- ბრძანება ისე-ჯგუფის შექმნის შესახებ
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში
- ტრანზიციის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ემსახურება მუნიციპალიტეტის მიერ სატრანსპორტო სამსახურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი ტრანსპორტი, რის თაობაზეც ყოველთვიურად ივსება შესაბამისი ტაბელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობდა სკოლის შენობის რეაბილიტაცია, სკოლა განთავსებული იყო სხვა სკოლის შენობაში და სწავლის გაგრძელება ახლად რეაბილიტირებულ სკოლაში გაგრძელდა 2024 წლის ნოემბერში, 2024-2025 სასწავლო წელს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება მოსწავლეებისათვის არ შეუთავაზებია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სატრანსპორტო ტაბელი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. კურიკულუმი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
2. საგნობრივი კურიკულუმები.
3. კათედრის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინგლისური ენის კურიკულუმებში სადაც გაწერილია შემოქმედებითი დავალებები მართებულია უნდა შეივსოს ყველა კომპონენტი. მაგალითად : 1-4 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებებისთვის კონტექსტ-მაგალითის სვეტში წარმოდგენილია ქვე-თემები ნაცვლად მაგალითებისა. გარდა ამისა ჩასწორდეს მე-3 კლასის კურიკულუმში რადგან მე-2 და მე-3 კლასებში წარმოდგენილია იდენტური დავალებები მე-3 კლასის თემებს არ ემთხვევა; ამას გარდა წარმოდგენილი პირველი განმავითარებელი შეფასების სქემა არ არის შესაბამისობაში წარმოდგენილ პირველ დავალებასთან. აგრეთვე ჩასწორდეს ცნებები. დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასებში მისაღწევ შედეგებში არ უნდა იყოს კულტურათა დიალოგი; მე-5 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში წარმოდგენილი ბმულები ვერ მოწმდება დოკუმენტის ფორმატის გამო. გარდა ამისა გადაიხედოს პირველი შემოქმედებითი დავალებისთვის ცნებები, რადგან კულტურათა დიალოგში წარმოდგენილი მისაღწევი შედეგი დავალების საკითხთან მიმართებით ბუნდოვანია. აგრეთვე სოლო ტაქსონომიის აბსტრაქტული დონის აღწერაში არ არის დავალების საკითხთან სრული შესაბამისობა; არ არის შემუშავებული ინგლისურ ენაში მე-6 კლასის კურიკულუმი.

რუსული ენის მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი ბმულები ვერ მოწმდება. კურიკულუმებში ჩასწორდეს სვეტი-მაგალითები შედარებისთვის. ნაცვლად მაგალითებისა წარმოდგენილია დავალების პირობა. რესურსებში ჩაემატოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები. მე-6 კლასის რუსული ენის კურიკულუმში ცნებები და ქვეცნებები ზოგადია, უნდა დაკონკრეტდეს და გაიწეროს წარმოდგენილი დავალებების შესაბამისად.

უცხოურ ენებში სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები არ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში I,II,IV,V,VI კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმები , სადაც წარმოდგენილია მხოლოდ ორი თემა არ იძლევა საშუალებას სრულიად მიღწეული იქნეს ესგ-ით გათვალისწინებული შედეგები, რადგან თითო თემის დამუშავებას არაუმეტეს 1-1,5 თვე სჭირდება, სკოლის წარმოდგენილი მასალების მიხედვით მხოლოდ ერთი სემესტრის მასალა შემიძლია განვიხილო. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები არ იძლევა იმის შესაძლებლობას დადგინდეს , თუ რამდენად უზრუნველყოფს სკოლა სწავლის შედეგების მიღწევას.

კურიკულუმით წარმოდგენილი აქტივობები არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს სკოლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.04.2025 – 08.09.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს უცხოურ ენებში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში იმგვარი კურიკულუმების შემუშავება, რომელიც იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა;

სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევა: კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, ყველა თემისთვის განისაზღვროს შესაბამისი ცნებები და ქვეცნებები. მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში შეიტანონ დასამუშავებლად განსაზღვრული კომპლექსური ტიპის დავალებები- იხელმძღვანელონ სხვა კლასის კურიკულუმით და სვეტები შეავსონ შესაბამისად; სასურველია, გადახედონ კურიკულუმის ჩარჩოს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრულ ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება („მე და საზოგადოება“, მე-3 და მე-4 კლასი).

მათემატიკის ექსპერტის რჩევა: სასურველია სკოლამ კურიკულუმებში ასახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები. ასევე, სასურველია პედაგოგებმა სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენონ ელექტრონულ რესურსები, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში. დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმში საკითხის დასამუშავებლად საჭირო რესურსებს სახელმძღვანელოდან, ასევე დამხმარე მასალებიდან მიეთითოს შესაბამისი გვერდები.

სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს ერთიანი ხედვა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით და განსაზღვროს რომელ სტრუქტურულ ერთეულებს გამოკვეთს კურიკულუმში, რათა უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევა.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

2. მათემატიკაში სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის ექვსივე კლასის საგნობრივი კურიკულუმები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მე-2 და მე-3 კლასების კურიკულუმებში განსაზღვრულია მხოლოდ თითო თემა. (მე-2 კლასის კურიკულუმში თემა „რიცხვები 100-ის ფარგლებში“, მე-3 კლასის კურიკულუმში თემა „რიცხვები 1000-ის ფარგლებში“.) პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, ჩემ მიერ, ასევე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტის მიერ გამახვილდა

ყურადღება ზემოაღნიშნულზე. პედაგოგებს მიეთითათ, რომ აღნიშნული კლასების საგნობრივ კურიკულუმებში გაეწერათ ყველა სავალდებულო თემა. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მე-2 და მე-3 კლასების სრულყოფილი კურიკულუმები სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა. მე-2 და მე-3 კლასების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას

სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში I,II,IV,V,VI კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმები , სადაც წარმოდგენილია მხოლოდ ორი თემა არ იძლევა საშუალებას სრულიად მიღწეული იქნეს ესგ-ით გათვალისწინებული შედეგები, რადგან თითო თემის დამუშავებას არაუმეტეს 1-1,5 თვე სჭირდება, სკოლის წარმოდგენილი მასალების მიხედვით მხოლოდ ერთი სემესტრის მასალის განხილვაა შესაძლებელი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.04.2025 – 08.09.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ მათემატიკასა და სახვითსა და გამოყენებით ხელოვნებაში უზრუნველყოს იმგვარი კურიკულუმის შემუშავება, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევა: ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში.

სახელმწიფო ენის კათედრას აქვს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტები სწავლის მიზნის მისაღწევად, რჩევა: გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.

სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევა: კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ექსპერტის რჩევით: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „სტატიის დაწერა სამეგრელოს ღირსშესანიშნაობების შესახებ“ („ჩვენი საქართველო“, მე-5 კლ).

მათემატიკის ექსპერტის რჩევა: სასურველია, რომ კათედრამ ესგ-ითა და საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მეტი სიხშირით გამოიყენონ შემოქმედებითი ტიპის დავალებები.

მათემატიკის ექსპერტის რჩევა: სსგ-ით მათემატიკის სწავლებას მე-6 კლასში დათმობილი აქვს 4 საათი. წარმოდგენილი კურიკულუმით მე-6 კლასში კვირეული დატვირთვა არის 5 საათი. შესაბამისად, სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაში არ მოდის სსგ-ით განსაზღვრულ რაოდენობასთან. სასურველია, პედაგოგებმა კვირეულ დატვირთვას თავიდან გადახედონ, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული და საათების გადანაწილება სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ კვირეული დატვირთვიდან გამომდინარე რაოდენობასთან.

ასევე, სასურველია პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაში მოიყვანონ მე-6 კლასისათვის განსაზღვრულ წლიური საათების რაოდენობასთან. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი I და II კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები გაწერილია მეორე თაობის ესგ-ს შესაბამისად შედგენილი სახელმძღვანელოების მიხედვით. გასაუბრების დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოებით ასწავლიან, თუმცა გასაუბრების შემდეგ კვლავ მეორე თაობის სახელმძღვანელოებზე დაფუძნებული კურიკულუმები იქნა წარმოდგენილი.

ხარვეზი: პირველი და მეორე კლასების წარმოდგენილი კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.04.2025 – 08.09.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში იმგვარი კურიკულუმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევით: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მიუთითონ ძირითადი სახელმძღვანელო.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ექსპერტის რჩევით: კურიკულუმში ყველგან უნდა აისახოს სახელმძღვანელო, როგორც ძირითადი რესურსი და, შესაბამისად, მიეთითოს გვერდებიც („ჩვენი საქართველო“, მე-6 კლ);

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

4. ხარვეზი: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლის კურიკულუმში გათვალისწინებული არ არის დიფერენცირებული მიდგომები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.04.2025 – 08.09.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში იმგვარი კურიკულუმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული მიდგომები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

სახელმწიფო ენის ექსპერტის **რჩევა:** შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს, სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე. მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.

მათემატიკის ექსპერტის **რჩევა:** სასურველია მოსწავლის ისგ. დოკუმენტზე მუშაობისას დეტალურად გაიწეროს გრძელვადიანი მიზანი, შემოქმედებითი დავალების პირობა და ის პროდუქტი, რაც უნდა შეიქმნას მუშაობის პროცესში. ასევე სასურველია ისგ_ში მოცემული იყოს კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შეფასების სქემა.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

5. სახელმწიფო ენის ექსპერტის **რჩევა:** გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.

მათემატიკის ექსპერტის **რჩევა:** სასურველია პედაგოგებმა შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და შექმნის პროცესში ჩართონ მოსწავლეები. (პრეზენტაციის, წყვილებში მუშაობის, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების და სხვა რუბრიკები)

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასების რუბრიკები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

კომპლექსური დავალებების იდეები.

გაკვეთილების რეფლექსიები;

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები;

თემატური მატრიცები;

პროექტები;

შემაჯამებელი დავალების ნიმუშები(მოსწავლის ნამუშევარი) შეფასებული მასწავლებლის მიერ
შემაჯამებელი დავალების ანალიზი
კომპლექსური დავალების ბარათები
ეტაპებში გაწერილი კომპლექსური დავალებები
ისგ
გაკვეთილის გეგმა V კლასი

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

2. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე;
3. . ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
5. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხური კურიკულუმები;

შეფასების რუბრიკები;

ვერიფიკაციის მექანიზმი;

კათედრის სხდომის ოქმი;

სასკოლო პროექტი;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე.
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ექსპერტის **რჩევით**: დამატებითი რესურსებში, სადაც წერია „ინტერნეტ-რესურსები“, საჭიროა ბმულის ჩაწერა („ჩვენი საქარველო“, მე-6 კლ), ასევე სადაც მითითებულია მაგალითად, „პოსტერის შექმნა“, აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი ბმული. („მე და საზოგადოება“, მე-3 და მე-4 კლასი).

3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

კათედრის სხდომის ოქმები;

პერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
